საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: „ქ. თბილისში, ქერჩის ქ. № 6-ში 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლის „ე“ კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა”

შ.პ.ს. „ახალი თბილისი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2020 წლის იანვარში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ქერჩის ქ. № 6-ში 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლის „ე“ კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია კორექტირებული პროექტისათვის.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ქერჩის ქ. № 6-ში 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლის „ე“ კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2019 წ. მაის-ივნისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი გ. ყიფშიძე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 11 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. მიწერილობა ..... 1 გვ.
4. ცხრილი თიხური და კლდოვანი გრუნტების თვისებებზე ..... 3 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე დასკვნა ..... 2 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 2 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 6 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 5 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე 118 მეტრია. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი.
2. ფენა 2 – თიხა, ნახევრადმყარი კონსისტენციის.
3. ფენა 3 – თიხა ძნელადპლასტიკური კონსისტენციის.
4. ფენა 4 – ძირითადი ქანი – ფიქლებრივი თიხები (მაიკოპის წყება). ქვიშაქვების თხელი (10 სმ-მდე) შუაშრეებით, ძლიერ გამოფიტული.
5. ფენა 5 – ძირითადი ქანი – ფიქლებრივი თიხები (მაიკოპის წყება). ქვიშაქვების თხელი (10 სმ-მდე) შუაშრეებით, სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედაა მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია შემოაღნიშნული ქანების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება. მოედნის სულ ზედა ფენა წარმოდგენილი არის ნაყარი გრუნტით, რომელიც მშენებლობისათვის, როგორც ფონოგრამები არ გამოდგება, შემდეგი ფენა ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხებით არიან წარმოდგენილი. მომდევნო ფენა თიხები, რომლებიც იმყოფებიან ძნელადპლასტიკური კონსისტენციის მდგომარეობაში. მომდევნო ფენა 1,5-2,5 მ სიმძლავრის კენჭნარებით არის წარმოდგენილი. შემავსებელი ქვიშნარებია. მომდევნო ფენა ძლიერ და სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანებია. მაიკოპის წყების ფიქლებრივი თიხებისა და ქვიშაქვები მორიგეობითაა წარმოდგენილი. ქანების წოლის ელემენტებია გავრცელების აზიმუტით ჩრდ. დასავლეთი 17°, ხოლო დახრის კუთხეა 20-25 მ.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მშენებარე სახლისათვის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა 9.8-10.8 მ სიღრმეზე. დამყარებული დონე 9.5-10.0 მ. წყალი ამჟღავნებს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიას სხვადასხვა ცემენტისაგან დამზადებული ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დასკვნა

ქ. თბილისში, ქერჩის ქ. № 6-ში 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლის „ბ“ კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. ჭოხონელიძე